

572 / 2  
1952

# ლიტა

საქართველო

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკერველოვანთათვის

საქართველოს  
ბავშვთა  
კულტურის  
მინისტრის  
გამომცემი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მკერველოვანთათვის



## ფიქრით, გულით მოსკოვშია

თოჯინები, კრელი ბურთი  
 დღეს თინათინს არ უნდა,  
 არ სცალია,—მამამისი  
 მოსკოვიდან დაბრუნდა.

ახლაც მუხლზე უზის მამას  
 კვლავ ბაასით გართული  
 და ახარებს საუბარი—  
 მშობლის ლალი ქართული.

ცნობილია თინას მამა,  
 წლებს რომ უსწრებს გმირობით,  
 კომუნისტი, დელეგატი  
 მეცხრამეტე ყრილობის.

მან სტალინი ნახა ახლოს,  
 სიბრძნით, საქმით ქებული,  
 ხალხზე ზრუნვით შევერცხილი,  
 მუდამ გამარჯვებული.

და პატარა თინათინი,  
 ყურს რომ უგდებს მამილოს,  
 ფიქრით, გულით მოსკოვშია,  
 მოსკოვის მზით ყვავილობს.



54/3



რეპუზ პარტიანი

ნახატი რ. სტურუასი

# ს ი მ დ ე რ ა

ვერ გაიმარჯვებს, ვისაც სურს  
ომი და უამინდობა,  
რადგან სტალინი დარაჯობს  
ხალხთა ძმობას და მშვიდობას.  
ლენინის დროშას შევფიცეთ  
გამარჯვებულმა ერებმა,  
ჩვენივე ხელით შევკმენით  
ჩვენივე ბედნიერება.

ჩვენში სულ გაზაფხულია,  
შრომის სიმღერებს მღერიან,  
კომუნისმი და მშვიდობა  
ჩვენს დიდ დროშაზე სწერია.  
ვერ გაიმარჯვებს, ვისაც სურს  
ომი და უამინდობა,  
სტალინი ჩვენი დროშაა,  
სტალინი არის მშვიდობა.



# აგაო მოღონი

ჰენრი დისნეი საშინელმა ფიქრებმა გამოაღვიძა. წუხელ ბავშვებმა უვანშობლად არ დაიძინეს. შემონახული პური და რამდენიმე კარტოფილი გათავდა. ჰენრი ვარაუდობდა, რომ დილით ამ მცირე მარაგით შესძლებდა ბილისა და ჯესის დაკმაყოფილებას, მაგრამ ახლა რაღა ჰქნას? კარადა ცარიელია, საპურეზე მხო-

ლოდ გამხმარი ნამცეცები ყრია. ჰენრიმ ნაღვლიანად დახედა თავის პაწიებს და გული შეეკუმშა. საშინელმა მოუსვენრობამ შეიპყრო. კარადას ეცა, ისევ საპურეს დახედა—სრული უიმედობა! მაგრამ უცბად შეება იგრძნო—დღეს მან ხომ ჯამაგირი უნდა მიიღოს, თუმცა ეს გვიან იქნება, მხოლოდ დღის ბოლოს, იქამდე კი... მეზობლებისაგან ისესხებს ფულს—გაუელვა აზრმა. ჰენრი საწოლთან მივიდა.

— შენ არ გძინავს, მამა. — შესძახა ბილიმ, რომელსაც მოულოდნელად გამოეღვიძა, — თვალები რაღაც შესიებული გაქვს, ხომ არ ტირილი, თუმც კაცებმა ტირილი არ იციან.


ლაპარაკზე გოგონამაც გაახილა თვალი. იგი წამოდგა და მამას კისერზე მოეხეხა, თან ძილით დამძიმებულ ქუთუთოებს ახამხამებდა. ჰენრი ათას რამეზე ესაუბრებოდა ბავშვებს, ცდილობდა როგორმე გაერთო ისინი.

ბავშვები ხმამაღლა იცინოდნენ მამის ოხუნჯობაზე, ოთხი წლის გოგონა ისე კისკისებდა, რომ სული კინალამ შეეხუთა. ჰენრი გამოერკვა. დროა წავიდეს სამუშაოზე. მაგრამ ჯერ ხომ ფული უნდა იშოვოს?! რამდენიმე მეზობელს დაუკაჟუნა კარზე, მაგრამ ყველამ უარით გამოისტუმრა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ერთ მათგანს ორასიოდგე რამი პური და ორი კოვზი შაქარი გამოართვა სესხად.

— როგორც კი ჯამაგირს ავიღებ — თქვენს ვალს გადავიხდი, — ეუბნებოდა მეზობელს ჰენრი.

ჰენრიმ შუბლზე აკოცა თავის პაწიებს და ჩვეულებისამებრ გააფრთხილა ბიქუნა:

— შენ უკვე ექვსი წლისა ხარ. ჩემს





მოსვლამდე არსად წახვიდეთ. მალე დაე-  
ბრუნდები, ყველაფერს გიციოდით.

— მე მომობიანე ხის ცხენი და ფუნ-  
თუშები.

— მე კიდევ—კანფეტები და თოჯინა.  
აი, ისეთი, თვალხუჭია...—შესძახოდნენ  
ბავშვები მამას. როცა ჰენრიმ ჯესი და  
ბილი ასაუბმა, ერთხელ კიდევ დაარიგა  
ისინი: თუ სახლის პატრონი მოვიდეს,  
უთხარი, რომ ბინის ქირას დღეს გა-  
დავიხდი...

— ხომ არ იტირებ, ჯესი,—ჰკითხა  
ჰენრიმ გოგონას. ბავშვმა თავი გაიქნია.

— შენ ბილი?

ბილიმ შეურაცხყოფილად იგრძნო  
თავი და მოღუშულად უთხრა მამას:

— ბიჭები არ ტირიან, მე არასოდეს  
არ ვიტირებ.

ჰენრი სწრაფად გავიდა სახლიდან.  
ტრამვაის ფულიც არ ჰქონდა, აჩქარებუ-  
ლი ნაბიჯით გაეშურა თავის სამუშაოსა-  
კენ. ცაზე უკვე ღრუბლები ირეოდა.  
ოკეანის მხრიდან ცივი ქარი უბერავდა  
და ნესტი მოჰქონდა. წერილად ჟინჯილავ-  
და, უსწორმასწორო ქუჩებზე პატარა  
გუბეები იდგა. დაწვიმული ცათამბჯენე-  
ბი გულუკივად დაჰკურებდნენ ჰენრის,  
თითქოს მთელი თავიანთი სიმძიმით  
დასწოლოდნენ მხრებზე, ოკეანის ნაპირ-  
ზე ორთქლივით თხელ ნისლში მოჩანდა  
ხელაწეული ვეებერთელა ქალის ქანდა-  
კება, ძეგლი „თავისუფლებისა“, რომელ-  
საც ზურგი შეექცია ქალაქისათვის.

— თავისუფლება?!—მწარედ ჩაილა-  
პარაკა ჰენრიმ. იგი გრძნობდა შიშოვანს,  
თვალწინ კი თავისი ბავშვების სახეები  
არ შორდებოდა. მთელი გზის მანძილზე  
ესაუბრებოდა მათ, უღიმოდა...

მხოლოდ ნაშუადღევს სამ საათზე  
აიღო ჰენრიმ ჯამაგირი. ყველაფერი იყი-  
და, რასაც კი დაჰპირდა ბავშვებს... მაგ-  
რამ არა, ხის ცხენი დაავიწყდა. ჰენრი  
მალაზიაში შებრუნდა.

— თუ შეიძლება, აი, ის ხის ცხენი

გადმომიღეთ.—ზრდილობიანად უთხრა  
ჰენრიმ, და როცა გამყიდველს ხელის  
უწოდა სათამაშოს ჩამოსართმევად, გან-  
ცვიფრდა: გამყიდველის დანაოკებული  
შუბლის ქვეშ დაშინავად და ბოროტად  
გამოიყურებოდნენ ჰროლა თვალები.

— ქურდაბაცაცებს ჩვენ არაფერს ვაძ-  
ლევთ, არამზადავ!—უკმეხად უპასუხა  
გამყიდველმა.

— ვის ეუბნებით, მე?—გაიოცა ჰენ-  
რიმ და ხელები აუკანკალდა,—რა უფლებ-  
ებით?!—და მუშტი აიქნია ჰაერში, მაგრამ  
ამ დროს საშინელი ტკივილი იგრძნო  
ორთავე მკლავში, თითქოს ფოლადის  
მარწუხები შემოუქირეს.

— ძლიერ დიდი ხმა გქონიათ, სერ!  
—ჩაესმა ყურში ჰენრის.

— ვაჭრობის დროს ყვირილი საჭი-  
რო არ არის!—დაუმატა მეორემ. ამ სიტ-  
ყვებზე ჰენრიმ თავისი ფოტოსურათი  
დაინახა პოლიციელის თეთრ ხელთათ-  
მანიან ხელში.

— მეონი გეცნობათ ეს ვაებატონი,—  
ჩასძახა ყურში მარჯვნივ მდგომმა პო-  
ლიციელმა,—თქვენ ბრძანდებით ალბათ  
ჰენრი დისნეი, მიტინგზე გაფიცულ მუ-  
შებს შორის რომ იდევით და ხმამალა  
ქადაგებდით, გაგონდებათ 7 ნოემბრის  
სალამო... ორმოცდ მეექვსე ხეივანი?!

უეცრად სახარლად აკივლა მანქანა  
და ჰენრიმ იგრძნო, რომ ორთავე მხრი-  
დან აიტაცეს ჰაერში. ჰენრი მიხვდა, რომ  
შეადგეს მანქანის ღია კარში, საშინ-  
ლად მიაჯახა თავი სახელურს... შემდეგ  
ვერაფერი გაიგო, ყურებმა წივილი  
დაუწყო, თვალთ დაუბნეულდა და უკუ-  
ნეთ ღამეში ციციანთელების გუნდები  
მოეჩვენა...

\* \* \*

— ჯესი, სკამზე ნუ ადისარ, არ გახ-  
სოვს მამის სიტყვები?!

ქერა გოგონამ სკამს ხელი გაუშვა  
და ძმის თხოვნა შეასრულა.

— იცი რა, ჯესი, ხის ცხენზე შეგ-



სვამ და გასეირნებ, ვიდრე არ მოგბეზრდება.

— თოჯინაც დავსვათ ცხენზე, კარგი? — უოხრა გოგონამ მძას.

— შენცა და თოჯინაც, მამო, მამამ ხომ მითხრა ყველაზე ღირ ცხენს გიყიდიო.

— იცი, ბილი, მე უკვე მშია. — წამოიძახა გოგონამ.

— მამა მალე მოვა და ბევრ საქმელს მოგვიტანს...

ამ დროს კარებზე კაკუნი შემოესმათ.

— ხომ გითხარი, მალე მოვა მეოქი, — დაიძახა ბილიმ და ხტუნვით გაეშურა კარებისაკენ. ჯესიც გაიქცა. როცა ბიჭუნამ კარი გააღო, შეერთა: მის წინ იდგა სახლის პატრონი. ბილიმ გაკრიკვებული ფეხსამელები და ჟილეტის ჯიბიდან გადმოკიდებული საათის ძეწკვი დაიანხა.

— ფული არ დატოვა მამათქვენმა? — წარმოსთქვა სახლის პატრონმა.

ბილიმ მალლა აიხედა და შენიშნა

ნესვის მოყვანილობის სახე, მსუქანი ცხენებში ჩამჯდარი წითელი ცხენები და გახამებულ საყელოზე დაჯდომილი სამად დაკეცილი ლაბაბი.

ჯესის შეეშინდა და ატირდა. ბილიმ სცადა მისი გაჩუმება, მოეფერა დას. როცა ვერაფერი გააწყო, ისევ კარებისაკენ მიტრიალდა.

— მამამ თქვა, რომ ფულს მოიტანს, მე ხის ცხენს მიყიდის, ჯესის კი თოჯინას და კანფეტებს.

მაგრამ სახლის პატრონმა კარგად იცოდა, რომ პენრი შინ ვეღარ დაბრუნდებოდა. კარები ფართოდ გააღო და ბავშვები გარეთ გამოყარა.

ბილი აცრემლებულ დაიკოს ამშვიდებდა და თან ეუბნებოდა:

— სუ, გაჩუმდი ჯესი, მამა მოვა და ამ ღიპიანს უჩვენებს სეირს! — და პატარები ხელიხელ ჩაკიდებულნი აუჩქარებლად მიჰყვებოდნენ ცათამბჯენებით დამძიმებულ პირქუშ ქუჩებს.





პახანა ნალაქიშვილი

სახატი შ. ცხადაძისა

## მომავალი მეზღვაური

კოჭებამდე სწვდება წყალი,  
გუშინდელი ნაწვიმარი.  
ძველი კასრი ხომალდად აქვს,  
გივი არის კაპიტანი.  
წამით რალაც გაუფუჭდა, —  
გემის ნაცვლად თვითონ ქმინავს,  
აჰა, ლუზაც აუშვა და,  
გესნით, როგორ დაუსტინა?  
„მტკვარზე გემებს დაუცურებ,  
ვერ მაშინებს ვერაფერი,  
ჩემთვის კარგად ნაცნობია  
თვითეული მისი ჩქერი“...  
მღერის გივი, თანაც მგზავრებს, —  
დაიკოს და იმის ცუგოს,  
ეხვეწება: მოისვენეთ,  
ცუგო, წყალში თათებს ნუ ჰყოფ!  
მათ ბიჭებიც მოეხვიენენ:  
— ერთი გვითხარ, — გივის სთხოვენ, —  
მეზღვაურებს ედარები,  
თუ პატარა ნახიმოველს?  
ან რად გინდა ეგ ღურბინდი —  
მეზღვაურის შესაფერი.

იმოდენა ღურბინდია.  
არც კი გიჩანს ყელსახვევი.  
— მტკვარი ვოლგა თუ გგონია, —  
არ ეშვება გივის დათა.  
და ბავშვებში მეგობრული  
საუბარი გაიმართა.  
დაიჯაბნეს ლამის ბიჭი,  
დაივიწყეს მასთან შობა,  
ყველას უკვირს, ყველა ამბობს. —  
მტკვარზე ვინ თქვა ნაოსნობა?  
გივიმ ველარ მოითმინა  
ეს დაცინვა, უსამართლო,  
ყელსახვევი გაისწორა  
და მიმართა მერე დათოს:  
მამამ მითხრა: — რომ მტკვარს მალე  
შეეცვლება სახე სრულად  
და თბილისის სანაპირო  
უნდა გახდეს ნავსადგურად.  
ქვის კედლებში მომწყვდეული,  
შეგუბდება ჩვენი მტკვარი  
და მის დონეს მალლა ასწევს  
ორთაქალის საგუბარი.

აბა, მოდი, მამას ვკითხოთ,  
 ერთმანეთში რაზეც ვდაობთ,—  
 და ბავშვებიც გივის მამას  
 შეეკითხნენ სათითაოდ.  
 მამამ უთხრა:— ყველაფერი  
 მართალია გივის თქმული, —  
 თბილისშიაც დაგვეკირდება  
 გამოცდილი მეზღვაური.  
 — თქვენ კი ჩემი არ გჯეროდათ! —  
 მიუბრუნდა გივი ტოლგებს,  
 მას ბიჭებმა სირცხვილისგან  
 თვალი ვეღარ გაუსწორეს...

ისევ გივიმ დაარღვია  
 სიჩუმე და ბიჭებს უთხრა:  
 — მაღე ლელვა დაიწყება,  
 გემს მიხედეთ, უქმად ნუ ხართ!  
 უცებ დათაც დაფაცურდა,  
 თან აუზში გადაეშვა.  
 გივის ასე ეხვეწება:  
 — ამიყვანე ცეცხლფარეშად! —  
 გივი საქეს მისდგომია,  
 „ზღვის ლელვაში“ ხომალდს მართავს,  
 მამა ფიქრობს: — მეზღვაური  
 გამოვაო გივი მართლაც!



თაპარ საპალაფილი

## შ ე მ ო დ გ ო მ ა ტ ყ ე შ ი

ნახატი ვ. ჯაფარიძისა

როდესაც თომას ბრიგადამ სიმინდის  
 მოსავალი აიღო და რთველიც დაამთავ-  
 რა, თომა შეზახე წასასვლელად მოემ-  
 ზადა.

— აბა, ვანო, ამაღამ აღრე დაიძინე,  
 ხვალ გათენებისას ტყეში უნდა წაგიყ-  
 ვანო. — უთხრა ერთ საღამოს თომამ თა-  
 ვის ძმისშვილს — პატარა ვანოს.

— ამაღამ სულ არ დავიძინებ, გათე-  
 ნება არ გამოიმეპაროს. — უპასუხა გახა-  
 რებულმა ვანომ.

— შენ დამშვიდებით დაიძინე, როცა  
 დრო იქნება, მე გაგაღვიძებ.

მეორე დღეს მზე დიდი ხნის ამოსუ-  
 ლი იყო, როდესაც თომა და ვანო ურ-  
 მით ტყეში შევიდნენ.

ტყე შემოდგომის ფერებით მორთუ-  
 ლიყო. ნეკერჩხალს სიყვითლე შეჰპარო-  
 და და ფრთიანი წაყოფები დასწითლე-  
 ბოდა. ქორაფს ოქროსფერი სამოსი ჩაეც-  
 ვა, სურო და ფითრი კვლავ მწვანედ გამო-  
 იყურებოდა. ტყის პირად თრიმლი კი  
 ისე ლამაზად გაწითლებულიყო, რომ ვა-  
 ნომ რამდენიმე ფოთოლი მოწყვიტა და  
 ჯიბეში ჩაიღო. იქვე, თრიმლის ახლოს, ჩი-  
 ტავაშტას მოწითალო-მოლურჯო ფოთ-





ლებიდან ალისფერი ნაყოფები მოჩანდა. ხეებიდან ფოთლები განუწყვეტლივ ცვიოდა.

— ძია თომა, შეხედე, ასკილსა და კუნელს რა ბევრი ასხია!

— ასკილი დიდდას მოუკრიფე, წამლად გამოადგება!

თუმცა ვანოს ეკლებმა ხელები დაუკაწრა, მაგრამ ასკილისა და კუნელის ნაყოფი მაინც ბლომად შეაგროვა.

— ვანო, კოწახური არ დაგავიწყდეს, ღორს რომ დაკლავთ, ძეხვებისათვის დაგვიკირდება, — მიაძახა თომამ.

ვანოს უკვე შეემჩნია წითლად დაბრაწული, მძივებივით დაკიდებული კოწახურის მტევნები და მისკენ წავიდა.

თომა შეშის ქრაში იყო გართული, როდესაც ვანოს ხმა მოესმა:

— ძია თომა, შეხედე, რა ვიპოვე!

ვანოს, ხიდან მოეგლიჯა მოყვითალო, ყავისფერ ლაქებიანი სოკო.

— ეგ ხისავედმყოფობაა, ძერანა სოკოს ეძახიან. აბა, დაუკვირდი, იმ დღეს რომ მოკლული ძერა ნახე, იმის ფრთას როგორა ჰგავს!

ვანომ დაკვირვებით დაათვალიერა სოკო.

— როგორ გაჩნდა ხეზე სოკო? — ეკითხებოდა.

— სოკო ქვემო მხრიდან თესტებს სპორებს იკეთებს, რომლებიც ისე პატარებია, რომ თვალით არ ჩანს. ნიავის ოდნავ ქროლვაზე მომწიფებული სპორები ჰაერში იფანტება; თუ რომელიმე მათგანი ხის დაზიანებულ ადგილს მოხვდა, თეთრ ძაფისფერ ფესვებს გაიკეთებს, ჩაუშვებს ხეში, შლის მას და დაშლილი ხით იკვებება. ამის შემდეგ იკეთებს ნაყოფს, სწორედ იმას, რაც ახლა ხელში გიჭირავს.

— მაშე ეს ნაყოფია?

— ნაყოფია, სწორედ ისეთივე, როგორც ეს წიწიბო წიფლის ხის ნაყოფია. შეხედე, რა ბევრი ასხია!

თომამ ნახევრად ხმელ, მოჭრილ წიფელზე მიუთითა. ვანოს წიწიბო ძლიერ უყვარდა, ჩანდა ხელად წიფლის ნაყოფით გაავსო.

სალამო ხანი იყო, როდესაც შეშით დატვირთული ურემი ტყიდან გამოვიდა. ტყის ხილით სავსე ჩანთები ვანოს ურმის ქალზე ჩამოეკიდა, თვითონ კი ლამაზად გამოთლილი შინდის სახრე ეჭირა, კოფოზე თომას გვერდით იჯდა და ხარებს მორეკებოდა.

მთარ ბალახები

ი ა

გაკვირებულა ია,  
გული სიამით უცემს,  
მისი სახელი ამკობს  
წიგნის სულ პირველ ფურცელს.

„ია“ — კითხულობს ია,  
„ია“ — ჩურჩულებს წყნარად.  
მის სახელს სწავლობს ყველა,  
ხუმრობა არის განა?!





# ზამთრის მოდოღინები

პიესა—ზღაპარი 2 სურათად

**მოწაწილანი: ციყვი, ბათქუნა—ციყვის შვილი, თაგვი და ზღარბი**

სცენა წარმოადგენს ტყის პირს. შუაში დგას დიდი მღვთის ხე ფუფუნოვით. ვალოდის ზღარბი, ზღარბის ვალებზე ვაშლები აქვს წამოყვებული. ვიბება ციყვის, რომელსაც კალათით სოკო მოაქვს.

**ზღარბი**— საღამო ციყვო, ძმობილო.

**ციყვი** — იცოცხლე, ჩემო ზღარბუნა.

**ზღარბი** — საით უფოვლობარ?

**ციყვი** — ხომ იცი.

ცხოვრებამ შრომა გეარგუნა, ტყეში ვიყავი სოკოსთვის, განთიადზე ვარ ამდგარი, მირაგს ვინაღებ ოჯახში, კარზე მოგვიდგა ზამთარი.

**ზღარბი**— გეც შორი გზიდან მოვდივარ, ვაშლი აგაკრიფე ნაყარი.

**ციყვი** — რამ აგალეღვა?

**ზღარბი** — ახლახანს

გაღამხდა აყალმაყალი.

**ციყვი** — რა მოხდა?

**ზღარბი** — ნელი ნაბიჯით

გაღმოვიარე ტყე-ველი, გზაზე თავუნა შემომხვდა

(ხეს ამოფარებული თავი მათ საუბარს ყურს უდგებს).

თურმე გაქურდა ბეღელი.

ძლივლა მოქჷანდა ტომრები, მღეროდა: „ეშრომობ მეტადო“, რომ ჩამიარა, ჩემზე თქვა:

ჰმ! ამ ქურდს ვერა ხედავთო?

ლანძღვა დამიუყო იმ წუწკმა, რა არ მაკადრა, ვინ იცის, მთლად შენიყარა ქვეყანა, თათებს მიქნევდა ცხვირის წინ.

**ციყვი** — უფურე! სხეების ლანძღვაში მარჯვეი, დაუღალავი.

შენ კი ვახსოვდეს: ქურდობა არ შერჩენია არავის.

დამშვიდდი, კარგად მენახე.

**ზღარბი**— ნახვამდის, ჩემო ძმობილო, რომ დაიკურენ იმ თავხელს, ძლიერ გთხოვ, შემეტყობინო.  
(გამოდის თავი, ზურგზე ტომარა ჭიფია)

**თაგვი** — ვის დაიკურენ, რას ბრძანებ, თვითონ ქურდო და წაწწალა,

(ციყვის) ზაქარას ბალი ვაშლისგან სულ ამ ქაცვიამ გასცალა. ქურდიო,—ჩემზე იახის გულს მიხეტქავს და მაყვირებს,  
(ზღარბს მიუბრუნდება)

პატიოსნებას ჩემულობ?

ფიცი მწამს — ზურგი მაკვირვებს.

**ზღარბი**— ამ უსიტხვილოს ვერ ხედავთ? რა ამბავია, რას ბეღდეს. ხის ძირს ვიპოვენ ვაშლები, არ დინებოცოს ზაქმეები.

სახეზბარდ არა მცალია, (ციყვის) ძმობილო, ჩემთან წამოდი, თავი ნაქურდალს მიაარეგს, ოფლი წურწურით ჩამოსდის.

**ციყვი** — ზღარბი რომ ქურდი არ არის. შენც იცი, რალა გაბრაზებს, ნაპოვნი მიაქვს თავისთვის, ალალი იცოს მავაზე.

**თაგვი** — გამოესაჩრღა ვეზბატონს წუწკი და თბილის პარია,



ოჯახში მივაქვთ მარაგი?  
ჰოდა, მეც მიმიზარია.

**ციყვი** — ერთ რამეს გეტყვი, თავგუნა,  
ასე ვწამს, ასე იქნება,  
იცილდე, წაგამწარღება  
სხვისი ბელღების მიგნება!

(ციყვი შედის ფულუროში, ზღარბი განაგრძობს გზას)

**თაგვი** — მაგათ რა გული უსკდებათ,  
რომ შეუბღვრეთ ოფლი მდიოადეს,  
თუ არ განანოთ ეგ ლანძღვა  
თავგუნა აღარ შეჭიოდეს!  
(შედის მუღის ქვეშ ზერღში)

ფ ა რ ღ ა

### სურათი მეორე

იგივე დეკორაცია. ციყვი ფულუროდან გამოდის ცარი-  
ვლი კალათებით, მიდის და თან მიიმღერის. ხეს მო-  
ფარებული თავი ფრთხილად უთვალთვალებს.

**ციყვი** — (მღერის) ტყეში მივიდვიარ, მოვზიდო  
სოკო, თხილი და კაკალი,  
ვერ შემაშინებს ზამთარი,  
ჰარი, ჰარალო, ჰარალო. (მიდის)

**თაგვი** — (გამოდის, თავებით ტოპარა უჭირავს)  
წაბრძანდა. ნახავ რა გიყო,  
ციყვო, ხარბო და ცბიერო,  
მსურს მწარედ გადავიხადო  
იმ ლანძღვის საშაგიერო.  
გეგონა შევშინდებოდი,  
ამიტყდებოდა კანკალი?  
უნდა გავსინჯო, გეთაყვა,  
შენი თხილი და კაკალი.

(შედის ფულუროში. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდება  
ზღარბი)

**ზღარბი** — (გზახის) ძმობილო, ციყვო, სახლში  
ხარ?

არ გესმის? ტყეში მოდიხარ?  
წასულა. სახლში არ არის,  
მეც წავალ. (მიდის ღიღინით) ჰარი,  
ჰარალო.

(ფულუროდან მოიხმის თავის წრიაინი)

**ბათქუნა** — მინდ ვინ ხარ! ვი, მიშველეთ...  
**ზღარბი** — (მოზრუნდება) ეს რა ხნა ისმის,  
ვინ არის ეს ხალხი?

**ბათქუნა** — მიშველეთ...

**ზღარბი** — აღმათ ციყუნამ  
შეილი დასტოვა მძინარი.  
გაღვიძებისას შეშინდა,  
რადგან არ დახვდა დედილო,  
ნუ გეშინია, მოვიდივარ,  
ჩემო კარგო და კეთილო.  
(სურს ზეზე ავიდეს)

**ბათქუნა** — იი, შე ქურდო, მსუნავო...

**ზღარბი** — რაო? ჩანს ვილაკ სწევვია,  
როგორ ავილდე, ხეებზე  
ასვლა მე როდი მწყევია.

**ბათქუნა** — საღლა წამიხვალ, ბაცაცა...

**თაგვი** — ბაცაცას მოგცემ, გამიშვი,  
გამიშვი, თორემ გაგუატრავ,  
რა, ქვუა კი არ დამიშლის!

**ზღარბი** — ჩხუბობენ, როგორ ვუშველო,  
(დადის ხის გარშემო)  
ბათქუნას აღარ იციოდებს,  
(შესახებს) თუ ამოვედი, ჰეი, შენ,  
ჩაგებრამუნებ, იცილდე!

(გამოჩნდება ციყვი, კალათებით მოაკუს სოკო, თხილი  
და კაკლი. მიდის ხესთან)

**ციყვი** — ზევით ვის უქეტერ, ზღარბუნა?

**ზღარბი** — შენა ხარ? ჩქარა, უშველე,  
ბათქუნას ვილაკ დაესხა,  
მტერს თათის ძალა უჩვენე!


(ციყვი კალათებს ძირს დაყვრის, შურბის ფულუროში,  
ცოტა ხნის შემდეგ ციყვი გამოჩნდება დაჭერილი თავი  
უჩვენებს ზღარბს და გუნება)

**ციყვი** — ეს არამზადა ყოფილა,  
(თავი წრიაინებს)

**ზღარბი** — თათებს რომ იშენს სახეში,  
უნდა დახსოვდეთ ბაცაცებს:  
გაგეშებთან მისხეში!

ფ ა რ ღ ა





ღმელ პალაქორია

ნახატები გრ. ჩირინაშვილისა

## უცნაური ღმეობიდი

— ყიცილიყო! ყიცილიყო! — გაისმა მო-  
ულოდნელად ფერმის ეზოში.

წითელი მამალი ღობეზე შემომჯღა-  
რიყო; ფრთების ფართხუნითა და გაბმუ-  
ლი ყვილით ეძახდა ეზოში გაფანტულ  
ღედლებს. ქათმები მამლისაკენ გამოე-  
მართნენ. ყველაზე წინ ნაცარა ქათამი  
კისერწაგრძელებული გამოვრბოდა.

ღედლები გარს შემოხვეოდნენ მა-  
მალს.

— რა მოხდა, რა ამბავია. დიდიხანია  
გაათენე, რაღა გაყიცილებს?

— რა მაყიცილებს! რა მაყიცილებს და  
იციტ, რას გეტყვიო? — საქმიანი, თანაც  
გაოცებული ხმით დაიწყო მამლაყინწამ.

— გუშინ ჩვენი ფერმის წინ ორი დიდი  
საბარგო მანქანა გაჩერდა. ერთზე ოქროს-  
ფერი სიმინდით გატენილი ტომრები  
ეწყო, მეორეზე, — რაღაც უცნაური თეთრი  
ყუთი იდგა. ყუთი ფრთხილად გადმოი-  
ღეს, დიდ ოთახში შეიტანეს და როცა

ტომრებს გადმოწყობა დაუწყეს, შევა-  
მჩნიე, რომ ერთ მათგანს გვერდი გამოგ-  
ლეჯოდა და იქიდან მშვენიერი, მსხვი-  
ლი სიმინდის მარცვლი ალმაცერად  
იყურებოდა. თედოს ეს რასაკვირველია  
არც გაუგია, ისე მოიგდო ტომარა ზურ-  
გზე და საწყობისაკენ გასწია. მე ფრთა-  
ფრთას შემოვკარი, ავხტი და მაკდურად  
გამოჰყეტილ სიმინდის მარცვალს დავემ-  
გერე. ეგრე არ უნდაო, ერთი რა კი გზა  
იშოვეს დანარჩენებმაც იწყეს ძირს ჩამო-  
ბრძანება. ძეც ეგ მინდოდა! საწყობის  
კარამდე კარგა მალიანად შევექცეოდი.

— იპ, რა ძალიან გააგრძელე ეგ შენი  
ამბავი. მერე და ამისთვის ჰყოლიო? — შეს-  
ძახეს ქათმებმა.

— მოიცათ, მოიცათ, საქმე განა მა-  
გაშია... მერე და, დიდი ოთახიდან, სა-  
დაც ის თეთრი ყუთი შეიტანეს, დიდდა  
ქეთევანის მხიარული ლაპარაკი შემო-  
მესმა. მეც ავდექი და შევედი, კუთხეში  
მივიმალე და რას ხედავს ჩემი თვალები...

— აღარ იტყვი? რა გულები დაგვრჩეთქე!—არ ისვენებდნენ ქათმები.

— ეს ყუთი იცით რა ყოფილა?—განაგრძობდა მამალი,—ჩემი თვალით ვნახე; რომ ყუთის პატარა უჯრებში ღიღედა ქეთევანმა ჩააწყო თქვენი საბუდრიდან ამოდებული კვერცხები.

— რაო? იქნებ შესაწვავად ჩააწყო? — შეშფოთებით იკითხეს დედლებმა.

— არა.—უპასუხა მამალმა,— შესაწვავად კი არა. ღიღედა ქეთევანი სიხარულით ამბობდა: მალე წიწილებს გამოვამჩეკინებ ჩემს დიდ კრუხსაო.

— როგორ თუ გამოამჩეკინებს? ასეთი რამ სად გაგონილა. სად ყუთი და სად კრუხი?

— ჰოდა, მერე ღიღედა ქეთევანმა უცბად ეს ყუთი უცნაურად გაანათა. უჯრები თავის ადგილას მოათავსა და მეც გარეთ გამომაგლო. ერთი სიტყვით თქვენ შეიღებეს ის ყუთი გამოჩეკს!

ყველამ კმაყოფილებით გადახედა ერთმანეთს, უხაროდათ, მხოლოდ ნაცარა ქათამი კრიახობდა და უკმაყოფილოდ ამბობდა:—არა, არ მინდა, ჩემი შვილები მე უნდა დავჩეკო და მევე უნდა დავხარდო... კვერცხებს საბძელში ჩუმად დავდებ და გამოვჩეკ...

ნაცარა დედალმა კვერცხების დება მართლაც მიყრუებულ საბძელში დაიწყა. ყოველ დღით ჩუმად შეიპარებოდა, ბზეს გადაქეპავდა, კვერცხს დადებდა და ჩუმადვე გამოიპარებოდა. როცა კვერცხები დაუგროვდა, საბუდარი გააფართოვა და შიგ თბილად მოიკალათა. ვნახოთ, ვინ უკეთ გამოჩეკსო,—იმუქრებოდა ნაცარა.

ქეთევანმა დაკარგული დედალი ღიღეხანს ეძებდა, მერე ხელი ჩაიჭნია. ნაცარა კი ღიღის ამბით მოელოდა იმ წუთს, როდესაც წიწილებს გამოჩეკდა და ეხოში ამაყად გამოიყვანდა, მაგრამ... საბრალო ნაცარას უბედურება ეწია. ერთხელ დიდი ქარიშხალი ამოვარდა, დაიწყა



კოკისპირული წვიმა, ქარმა საბძელს სახურავი გადახადა და იქაურობა ნიაღვარმა წალეკა. ნაცარა წვიმისაგან დასველებულ კვერცხებს ფრთებს აფარებდა, უქოთქოთებდა, ეშინოდა არ გამილყედნო.

წვიმიანი ღამის შემდეგ მშვენიერი, მზიანი დღია გათენდა. ქეთევანი დანგრეული საბძლის მოსავლელად გაეშურა. შევიდა და ნახა: ნაცარა დედალი აბუზული ჩამჯდარიყო სველ ბზეში.



— აი, შენ რა გითხარი, შენა, ეს რა ამბავია,— ქეთევანმა ფრთებში წააელო ხელი, დასველებულ კვერცხებს სინანულით დახედა, მერე დედალი ეზოში გამოიყვანა, წყლით სავე დიდ კასრში ჩააყურყურებლავა და გაუშვა.

— შენ რა გეგონა, ინკუბატორს აჯობებდი?

ნაცარამ ფრთები ჩამოყარა და საცოდავად გადახედა თავმოყრილ ქათმებს, რომლებიც იდგნენ და დასცინოდნენ დამარცხებულს.

ამ დროს ეზოში წივწივი მოისმა. ყველამ მიიხედა, მწვანედ გადაბიზნებულ ეზოში უამრავი ყვითელი, ბუჩქნარის მრგვალი წიწილები გამოობოდნენ პაწია ფეხებით. ორ მათგანს მიწიდან ამოჩიქნილი ქიაყელა გაეტაცნათ და ხან ერთი და ხან მეორე უმოწყალოდ წიწინია.

მაჯობა, უცნაურმა დედობილმა მაჯობა,— გაიფიქრა ნაცარამ და სხვა დედლებივით სიყვარულით აედევნა პატარებს.



ქათმის ქვეყანაში

## ქ ი ა გ ი ბ ო

ნახატები ალ. ხანჭელაძისა

ძლიერ მიყვარს ძია გიგო, ფოსტის დამტარებელი; ისე დაქრის ჩვენს ქუჩაზე, როგორც მატარებელი.

მოაქვს ჩანთა, შავი ჩანთა, მუცელგამობერილი, შიგ მრავალი ფურნალი აქვს და მრავალი წერილი.

აი, მოდის ჩემს კარებთან, ჩანთა გადაუხსნია. მე ვღებულობ ფოსტას, რადგან მამა სამსახურშია.

ვართმევ გაზეთს, ვართმევ ფურნალს, არ ვიბნევი სრულიად. ამ ფურნალებს, ამ გაზეთებს საღებავის სუნი აქვს.

— შემობრძანდი, ძია გიგო,— სახლში ვეპატიეები,— ცოტა მაინც დაისვენე, მოქანცული იქნები!

ძია გიგოს ეღიმება, უჰ, საქმე აქვს რამდენი! ის ჩანთას ჰკრავს, თავის ჩანთას, ჩანთას მუცელგამბერილს.

—ძია გიგო, ეგებ წყალი,  
ცივი წყალი მოგინდა?  
მოიღმინე ცოტახანი,  
ამ წუთშივე მოგიტან.

ნახე, ღილი აგწვევტია,  
სახელოზე ნამდვილად...  
მე ახლავე დაგიკერებ,  
დაგიკერებ ადვილად...

თუმც ღილს სწორად ვერ ვაკერებ,  
მაგრამ არაფერია.  
იმას მაინც არ იტყვიან,  
ღილი არ აკერია.

არ იტყვიან ძია გიგოს  
ღილი აწვევტილი აქვს.  
თუმც თვით ღილიც პატარაა,  
მაგრამ მაინც ღილია.—

მილიდინებს ძია გიგო,  
სახლში ისევ მარტო ვარ.  
ძია გიგომ უპ, რამდენი,  
რამდენი რამ დატოვა!



ვაწესროგებ ახალ ფოსტას,  
თუმც ჯერ კითხვა არ ვიცი.  
უფროსები როდის მოვლენ,  
მათ მოსვლამდე არ ვიცდი.

ეს ჟურნალი დედისაა,  
მამისაა გაზეთი.  
ყველას თავის ადგილს ვუჩენ,  
არა მრჩება არც ერთი.

ჟურნალები არ მიყვარდეს,  
ნუ იფიქრებს ნურავინ.  
აი, მრჩება საყვარელი  
ჩემი ორი ჟურნალი.

რა უღებთ აქვს ამ ჟურნალებს,  
რა ნახატი ამშვენებს!  
მეგობრები რომ მომივლენ,  
მეგობრებსაც ვაჩვენებ.

ჟურნალს ვფურცლავ დაკვირვებით.  
ნახატს დიდხანს დაცუქვრი,  
აი, ვხედავ: ცა მკრთალია,  
ზღვა კი—ლურჯად ნაფერი.





ფერადუდიან ქურნალეში  
თუ ვინმე დამხატვლა,  
აი, მაშინ კორეელიც  
უსათუოდ მნახავდა.

გავიცნობდით ჩვენ ერთმანეთს,  
გავიცნობდით შორიდან.  
მე მივწერდი გულთბილ წერილს  
ჩემს მშობლიურ გორიდან...

ეს ლამაზი ქურნალეები  
ყველა, ყველა ჩემია.  
აქ ზღვა არის დახატული,  
ზღვის ნაპირზე გემია.

იქ გოგონა მიდის ტყეში,  
ტკბება შაშვის გალობით.  
მე ყველაფერს ვიგებ მუდამ  
ძია გიგოს წყალობით.

აი, რატომ მიყვარს გიგო  
ფოსტის დამტარებელი.  
სულ რომ დაქრის ჩვენს ქუჩაზე,  
როგორც მატარებელი.

დიდი კრემლი მოსკოვისა  
წითლად, წითლად ანათებს.  
კრემლთან ერთი ბიჭი მოჩანს,  
არ მინახავს აქამდე.

ხალათი აქვს დაქარგული,  
ქამარიც აქვს ფერადი.  
ჩემი ფიქრით: კორეელი  
სტუმარია ბელადის.

ყველაფერი მითხრეს, მითხრეს  
კორეელის თვალებმა.  
ალბათ სახლი გადაუწვა  
შაგმა ლისინმანელმა.

ალბათ სოფელს ყუმბარები  
დააყარეს მებადა,  
ალბათ ბიჭი კორეელი  
დედას დიდხანს ეძახდა.

ოჰ, რა კარგი ბიჭი არის,  
ნეტავი მეც ვიცნობდე!  
ჩემი სახლი, ჩემი გვარი  
კორეელმაც იცოდეს!





სოსო იორაგაგვილი

ნახატები გ. როინიშვილისა

## ბ ი გ ა   დ ა   ბ ა ბ რ ა

ექვსი წლის ბუთხუზა გიგას გული დასწყვიტეს. მინდორში არ წაიყვანეს თავთავების ასაკრეფად. პატარა ხარ, დაგცხება, ვერ ივლიო. ამით შეურაცხყოფილი და ნამტირალევი გიგა ეზოში თუთის ხის ძირში იჯდა და ხანდახან ისე ამოისლუკუნებდა ხოლმე, რომ მის გვერდით ჩაცუცქული სამიოდე თვის ლეკვი ბაბრა გაკვირვებული შეჰყურებდა,—რა მოუვიდა ჩემს პატარა პატრონსო.

ბაბრას დიდი პატრონებიც ჰყავდა: გიგას უფროსი და-ძმა, ცამეტი წლის ნატო და ათი წლის ვანო, რომლებიც დილადარიანად პიონერთა რაზმს ქრიაშულით გაჰყვნენ თავთავების ასაკრეფად. მაგრამ ლეკვს ისინი მაინცადამაინც არ ახსოვს. ის ყველაზე უფრო გიგას მეგობრობს. გიგაც გრძნობს ამას და კმაყოფილია. ყველაზე უმცროსს მარტო ბაბრა უყადრებს თავს, მას ემორჩილება. საითაც უნდა გაუშვიროს პატარა თითი გიგამ და უთხრას: სიი, ბაბრაო, ლეკვი იქით გაქანდება. ბავშვს ეს ძალიან სიამოვნებს, ხან გოჭებს დაუტევს, ხან ყვინჩილებს და ხანაც ქუცებს დააფორიაქე-

ბინებს ხოლმე. ბაბრა მხოლოდ კრუხთან შებრძოლებას ვერა ბედავს; ერთხელ კინალამ თვალეზი ამოკორტნა და მას შემდეგ თითქოს პატრონის ბრძანება არ ესმისო, თვალს არიდებს კრუხს და სხვა მხარეზე გარბის ყვეფით... მაგრამ ეს მხოლოდ ქოლდა კრუხთან ემართება: სხვისა კი არ ეშინია ბაბრას.

აი, ახლაც ისინი თუთის ხის ქვეშ რომ ისხდნენ, ვენახის გვერდით ქათმები რალაცამ დააფრთხო; ვარიები საქათმისაკენ გამოფრინდნენ. მსუქანმა დედლებმა კი გასაფრენად წელი ველარ აიტანეს და ისეთი კრიახი ატეხეს, რომ იქაურობა გააყრუეს.

ბაბრამ თვალღი შეასწრო თუ არა ამ სურათს, ყურები აცქვიტა. ერთი გაიხედა იმ ადგილისაკენ, საიდანაც ქათმები გამოზობოდნენ, ყრულ წაიწკმუტუნა და გიგას შეხედა—ხოშ არაფერს მიბრძანებო. მაგრამ თავის და-ძმაზე გაბრაზებული გიგა ყურადღებას არაფერს აქცევდა და დამფრთხალ ქათმებსაც უგულოდ გადახედა.

ქათმების კრიახი დიასახლისის გამოცდილ ყურს არ გამოჰპარვია. აივნინდან



დიდდა სიღომ გადმოიხედა. თუთის ხის ქვეშ ისევ გაბტულთი გიგა რომ დანახა საქმიანად მიმართა:

— დიდდა გენაცვალოს, გიგა! გაიქეცი ერთი, გამოიგე, რამ დააფრთხო ის ქათმები. მერე აქ მოირბინე. ორი კვერცხის ტაფაშვარი უნდა დაგიბრაწო, შენ ხომ ძალიან გიყვარს!

გიგას მეტიც აღარ უნდოდა, დაპირებით გახარებული მარდად წამოხტა, სულ დაავიწყდა დიღანდელი დარდი.—სიი, ბაბრაო,—ერთი შესძახა თავის ერთგულ მეგობარს და თითგაშფერილმა მოკურცხლა. ბაბრაც ამას ელოდა; რაკი პატრონი გამხიარულებული დანახა, ორიოდვე ნახტომით წამოეწია, ყვეფით წინ გაუსწრო და პირველი შევარდა ძვიწინარში.

მაგრამ ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ გიგას ლეკვის სასოწარკვეთილი წკმუტუნი შემოესმა. მან სირბილს უფრო უმატა. ახლოს რომ მივიდა, ნახა: ფრთამოტეხილ ვეებერთელა ქორს წაბლისფერი ყვინჩილა დაეჭირა და ზედ გადააფროდა. ცალი კლანჭით ბაბრას დრუნჩხე ჩაფრენოდა და შწარედ აწკმუტუნებდა. გიგამ რომ ლეკვი ასეთ ღლე-

ში დანახა, ეგონა, ბაბრამ რაღაც ფრინველი დაიჭირაო და სიხარულით შეფარდა და:

— შენ კი გენაცვალე, ბაბრა! ეს რამოდენა ჩიტი დაგიჭერია!— და ხელი წაატანა, მაგრამ ქორმა ბასრი კლანჭი გაუშვა ვარიას და გიგას მარჯვენა ხელი დაბლუჯა. ბავშვმა ერთი შეპკივლა ტკივილისაგან და მეორე ხელი წაატანა მარჯვენის ვასათავისუფლებლად. ქორმა მარცხენა ხელზეც ჩაუნისკარტა...

სწორედ ამ დროს მათ კოლომეურნეობის მეწისქვილე შაქრო წამოაწყდა. ბავშვი ასეთ ღლეში რომ დანახა, სწრაფად დააცხრა თავზე ქორს, რომელიც საზარლად აბრიალებდა ყვითელ თვლებს. შაქრომ ონავრის კლანჭებიდან გაათავისუფლა გიგა და ბაბრა და გამამხნევებელი სიტყვებით სახლში წაიყვანა.

— აი, ყოჩაღ, პატარავ, ყოჩაღ! ვეკაცობაც ასეთი უნდა. ეგ გაკარგულები კი, გაიზრდები და დაგავიწყდება.

სახლში რომ მივიდნენ, შაქრომ იმდენი აქო გიგა, რომ დიდდა სიღოს თვალში ცაძღე აიყვანა.

— ნათლია სიღომ! ეგ ვინ გყლიათ? თითისტოლა ბაღლმა ქორი დაიჭირა. როცა გაიზრდება, ალბათ ვეფხვებსა და ლომებს დაუწყებს დევნას!—აზვიადებდა და უქებდა შვილიშვილს. მოხუცმა მეწისქვილემ მთელ სოფელს მოსული გიგას უჩვეულო თავგადასავალი. ეს ამბავი თავთავის ამკრეფ პიონერებთანაც მიეტანათ მინდორში. ნატო და ვანო გახარებულები იყვნენ უმცროსი ძმის სიყოჩაღით. საღამოს, როცა პიონერები მინდვრიდან დაბრუნდნენ, ყველა გიგას სანახავედ მივიდა. უნდოდათ თავისი თვალთ ენახათ ნანადირევი და გიგასათვის გამარჯვება მიელოცნათ, მაგრამ ბავშვს უკვე ეძინა. დიდდა სიღოს მისთვის დაკარგული ხელები ცხარე არაყით მოებანა, ზედ მალამო წაესვა, სუფთახილბანდით შეეხვია და დაეძინებინა,



თუმცა დიდდა სიღო უშლიდა, ჩემი ვაჟაკი არ გადავიძოთო, მაგრამ ნატომ ვეღარ მოითმინა, აკოცა ბუთხუზა ლოყებზე თავის პატარა ძმას და ვაღვიძო.

გიგამ შეხვეული ხელებით თვალები მოიფშენიტა და თავის ვარშემო მოგროვილ პიონერებს რომ გადახედა, გაცდა. ბავშვებმა სეტყვასავით დააყარეს კითხვები. ეკითხებოდნენ, თუ როგორ დაიჭირა ქორი, მაგრამ გიგა ჩუმად იყო, მის მაგივრად დიდდა სიღო მოუთხოვრებდა შაქროს ნამბობს, თუ როგორ ეჭირა მარჯვენა ხელით გიგას ვეებერთელა მტაცებელი და როგორ ანარცხებდა მიწაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქორმა ხელებითლად დააკწრა, გიგას ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია თურმე.

პიონერები აღტაცებით უსმენდნენ დიდდა სიღოს, მაგრამ გიგას ეტყობოდა, არ სიამოვნებდა ეს ლაპარაკი. ის სახემოლუშული უგდებდა ყურს და ყველას თვალებში შესტკეროდა. უნდოდა გაეგო: დამცინიან, თუ მართლა სჯერათ ჩემი სიყოჩაღყო.

ერთხელ, როდესაც ცქრილა ნატო

ამხანაგებში თავს იწონებდა ძმის თავგადასაღლით, გიგა ჯერ ჩვეულებრივ მოფიქრულუშა, მერე კი ვეღარ მოითმინა და უცბად ცრემლები წასკდა. ნატო სახტად დარჩა ძმის საქციელით და ჰკითხა: რა მოგივიდა!

გიგამ მკლავში მოკიდა ხელი და შინისკენ წაიყვანა. ოთახში რომ შევიდნენ, პატარამ აქეთ-იქით გაიხედა, ხომ არავინ არისო, შემდეგ გულლიად შეხედა თავის უფროს დაიკოს და უთხრა:

— ნატო, მე ვიტყვი...

გოგონამ ვერაფერი გაიგო, რა ტირილზე ეუბნებოდა გიგა და ძმას გაკვირვებით შეხედა. გიგამ ვაუმერა:

— აი, დიდდამ რომ თქვა, ხელები როცა დააკაწრა ქორმა, გიგას არ უტყვიო—მართალი არ არის. მეც ვიტყვი და ბაბრამაც, ვერ გაიგე?

ახლა კი მიხვდა ნატო, რომელ ტირილზე ეუბნებოდა ძმა.

— აი, თურმე რა აუუხებდა ჩემს ძამიკოს! ვენაცვალე, ტყუილის თქმა არ უნდოდა მომავალ პიონერს!—თქვა ნატომ და ძამიკოს სიყვარულით გადაეხვია.



საქართველოს  
საბავშვო  
საქონლის  
სამსახური

საქართველოს საბავშვო ჟურნალი



პანხანს გომოლაშვილი

ნახატი რ. ცუციკიძისა

## პატარა ტექნიკელები

გასულ შაბათს მოიფიქრეს გაკეთება მატარებლის, მთელი კვირა იმუშავეს, გაისარჯნენ პატარები. არაეინ არ მოიხმარეს, დამზადეს ყველაფერი, ორთქლის ქვაბი, პაწაწინა ორთქლმავალის შესაფერი. გვიმ თვლები გამოჩარხა ისე კარგად—ნამღვილს ჰგავდა, ავთანდილმა ვარდისფერი ვეგონები დამზადა. რომ პატარა მატარებელს ჰქონდეს მკვიდრი ნიადაგი, კახაბერმა გუშინ დილით დაუფინა ლიანდაგი.

დღეს დილიდან სანახავად შეიყარა მთელი ქუჩა, ავღუუნდა ორთქლმავალი, ამოუშვა კვამლი ლურჯად. შინნაკეთი ტელეფონით გადასცემენ პატარები: — ალლო, სადგურ „მშვიდობიდან“ გამოვდივართ მატარებლით. კახას რეზო ნიშანს აძლევს, აციალებს ფერად შუქებს,— ეს სადგური „გამარჯვება“ მათ ორთქლმავალს იღებს უკვე. გივი ამბობს:—ეგ მიღწევა ხალისსა და ძალას გვმატებს, გავიზრდებით და სულ მალე ელმავალსაც დავამზადებთ.

უფის მატარება ივთენის ალ. ვაგლაშვილს

რედაქტორი იოსებ ნინუაშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. ანაშიძე, ევ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, შავკალა მრეკლამედი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარტიანი, ი. ხახარაძე, ნ. უნაუიშვილი, შ. ცხადაძე.

Д И Ж А — еженедельный детский журнал ЦДК ИМ ГРРФ ИИ № 11 Ноябрь, 1962 г. Тбилиси, Ленин 14.  
საბჭოთაში. ღვეჯის მისამართი. თბილისი. ცენტის 14. 8 ხაზი. ტელ. 4-37-36  
გამომც. შვედ. № 345 სტამბის შვედ. ტიპოგრაფია ტბილისი 18.000 ევ 08161